საქართველოს მოსამართლეთა XXIX რიგგარეშე კონფერენცია

26 მაისი, 2021 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა
(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

11:00 - 12:00 სთ:
მოსამართლეთა რეგისტრაცია

12:00 - 12:10 სთ:
1. კონფერენციის გახსნა და დღის წესრიგის დამტკიცება

12:10 - 12:20 სთ:
2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება 4 (ოთხი) ვაკანტურ თანამდებობაზე - *(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება).*

12:20 - 12:25 სთ:
3. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრობის კანდიდატის დასახელება 1 (ერთი) ვაკანტურ თანამდებობაზე - *(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. კანდიდატად არ შეიძლება დასახელდეს პირი, რომელსაც უკავია ან ბოლო 1 წლის განმავლობაში ეკავა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, ასევე - პირი, თუ მას ბოლო 5 წლის განმავლობაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი).*

12:25 - 12:35 სთ:
4. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის კანდიდატების დასახელება 5 (ხუთი) ვაკანტურ თანამდებობაზე - *(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. პირს, რომელსაც უკავია სასამართლოს/პალატის/კოლეგიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის ან მოადგილის თანამდებობა, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად არჩევისთანავე შეუწყდება ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება).*

12:35 - 12:45 სთ:

5. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 (ხუთი) მოსამართლის შემადგენლობით - *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).*

12:45 - 14:30 სთ:

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4 (ოთხი) მოსამართლე წევრის, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 1 (ერთი) წევრის და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 5 (ხუთი) წევრის არჩევა - I ტური - *(ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით).*

14:30 - 15:30 სთ.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4 (ოთხი) მოსამართლე წევრის, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 1 (ერთი) წევრის და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 5 (ხუთი) წევრის არჩევა - II ტური - *(საჭიროების შემთხვევაში, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები).*